F85
1914

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲜᲘ

№ 17

27 აპრილი 1914 წ.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲠᲐ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲜᲘ

= 3 მან. =

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 5 ᲙᲐ�პ

რედაქცია ღია 9 – 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „ᲙᲚᲓᲔ“. დეპეშისა: თბილისი ᲙᲚᲓᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜ-ᲓᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲗᲐᲜ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ.

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ“

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔᲓ

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ 21–30 ᲐᲠᲘᲚᲐᲛᲓᲔ.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: 1. სიღნაღის საქალაქო არჩევნები. 2. სადა ვეზოგებთ ხსნას. **თავისუფალი მეთვალყურესი.** 3. სიმხური მეტნიერება.—***—**სა.** 4. ჩვენი ზდავრები. 5. ბრძოლის ველზედ. (მოთხრობა) ოარგმ. **ეკ. გაბაშვილისა.** 6. ᲑᲠᲔᲡᲐ. 7. [illegible] ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔᲓ. 8. ᲕᲝᲚᲢᲘᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ. — **Ს. Დ—ᲘᲡᲐ.** 9. ერთი სანდო კაცი.—**Ე—ᲚᲘᲡᲐ.** 10. ნარევი.

სიღნაღის საქალაქო არჩევნები

საინტერესო ამბები ხდება ამ ჟამად არა თუ ჩვენს დიდს ქალაქებში, არამედ ყოველ კუთხეშიაც კი, სადაც ასე თუ ისე ქალაქური ცხოვრება იკიდებს ფეხსა. წრეულს სიღნაღის საქალაქო არჩევნები განსაკუთრებით ყურადღების ღირსია. აქ ჩასახლებული სომხობა მხოლოდ ვაჭრობას მისდევს, სცხოვრობს შიგ ქალაქში და თითქმის ყველას აქვს საქალაქო საარჩევნო ცენზი. ქართველები კი, როგორც უაღრესად მიწად-მოქმედნი, ქალაქის განაპირა უბნებში სცხოვრობენ. აქნობამდე ეს არჩევნები მცხოვრებთა უმეტესობას სრულიადაც არ აინტერესებდა და არც მონაწილეობას იღებდა და არჩევნებზე კარგი იყო, თუ სულ, სომეხ-ქართველი ასამდე შეგროვდებოდა. წრეულს კი მდგომარეობა გამოიცვალა, და ორივე ერის ელემენტები ერთნაირად არიან დაინტერესებული და თავგანწირვით ემზადებოდნენ არჩევნებისათვის. ორივე მხარე ჩუმად, თავგამოდებით ემზადებოდა და იმდენი უნარი გამოიჩინეს, რომ წრეულს კრებაზე სომხები თითქმის უკლებლივ გამოცხადდებიან, ე. ი. ყველა ოთხასი, და ქართველებმაც გამოაფხიზლეს და ინტერესი აღუძრეს შვიდას-რვაას ამომრჩეველს. ცხადია არჩევნებში გამარჯვება ქართველებს დარჩებოდათ და იმათ ამოირჩევდნენ, რომელნიც მათ სურდათ, მაგრამ მათ არ ინდომეს ასეთი თავნებობა და სომხების დემოკრატიულ ელემენტებთან შეთანხმებით შეადგინეს სომეხ-ქართველთა შერეული სია. მაგრამ იქვე მოქმედობს სომეხ მახვილ ვაჭართა ჯგუფი, რომელიც სულ სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობს, არ ერიდება უსამართლობას, ოღონდ თავისი ვიწრო ინტერესები გაიყვანოს და სცდილობს ქართველთა კანდიდატების გაშავებას. მაგრამ დაინახეს, რომ ეგ შეუძლებელია მათთვის, თუ არჩევნები წესიერად და კანონიერად შესდგება, რადგანაც უმეტესობას ქართველები შეადგენენ და ეს შეთანხმებულთა კანდიდატები გაიმარჯვებენ. მაშინ მათ მიმართეს ერთს ხრიკს, რომელიც მხოლოდ მართლადაც ადმინისტრატიული თვითნებობის ხანაშია შესაძლებელი. მათ აფრინეს შუამდგომლობა თბილისში და, უთუოდ აქაურ თანამოძმეთა დახმარებით, სიღნაღის არჩევნები ორ უბნად დაჰყვეს. ,,რადგანაც წრეულს ამომრჩეველთა რიცხვი მოულოდნელად ასე გაიზარდა, რომ ათასამდე ადის, გთხოვთ ტეხნიკური მოსაზრებით არჩევნები ორ რაიონად გაჰყოთო'' და.. კიდეც გაჰყვეს. პირველ რაიონს შეადგენს სიღნაღის შუაგული, სადაც სომხობაა ერთნაირად შეჯგუფული და მეორე რაიონს კი ქართველები შეადგენენ განაპირა ადგილებში. ამასთანავე ამ პირველ რაიონს მიენიჭა უფლება აირჩიოს მეორე რაიონზე მეტი ხმოსანი (ე. ი. ცხრა განაპირა უბნებში 6); პირველ რაიონში ხომ უმეტესობას რასაკვირველია სომხობა შეადგენს და დანამდვილებით შეიძლებოდა იმის ოქმა, რომ ამ რაიონში სომხის ხმოსნები გავიდოდნენ. აგრეც მომხდარა, როგორც სიღნაღიდან დეპეშით ატყობინებენ ,,სახალხო გაზეთს''. 18 აპრილს კიდევ დანიშნულია მეორე რაიონის არჩევნები და კიდეც რომ სულ ქართველთა კანდიდატები გავიდნენ, *) ხმოსანთა უმრავლესობა მაინც სომხებისა იქნება და ამნაირად ოთხას სომეხ ამომრჩეველთ ექნებათ მეტი ხმა საქალაქო საქმეებში, ვიდრე ათასს და კიდევ მეტს ქართულ ამომრჩეველთ და თავისუფლად ითარეშებენ თავიანთ სამფლობელოში.

დიდი ხანია ქართველებს ბისტი გადაგვეკრა თვალებზედ და ვერ ვხედავთ ასეთ საგულისხმო მოვლენათ, ან და თუ დავინახავთ გულუბრყვილოდ სულ ჩვენ სასიკეთოდ ავხსნით ხოლმე და არხეინად

*) ახლა უკვე გამოირკვა, რომ იქაც სომხებმა გაიყვანეს ოავიანთი კანდიდატები.

განვაგრძობთ უსაქმურობას. ბევრს ,,ქართველს'' სასაცილოდაც არ ეყოფა ეს ამბავი და იტყვის: რა ამბავი მოხდა?! ერთი ერის ბურჟუაზია ებრძვის მეორე ერის ბურჟუაზიას და თავად-აზნაურობას და ეს ჩვენთვის საინტერესო არ არისო. ზოგი ,,ქართველი'' კიდევ ჩვეულებრივად განაგრძობს სოლიდარობისათვის ოცნებას და ვითარცა ,,უმაღლეს პრინციპების'' ღირსეული ქურუმი უმრავლესობისა და უმცირესობის პრინციპებზე მოჰყვება ლაპარაკს.

ზოგი ქართველი კი გამოურკვეველობაში იქნება: რატომ ხდება ესა, რომ ქართველობა შედგენს თუ არა უმრავლესობას, გნებავთ უმცირესობას, სულ ერთია მაინც დამცირებული გამოდის? ნუ თუ ამის გამოსაცნობადაც იმ ქვეყნით ედიპეს გამოწვევა დაგვჭირდება?!

საღა ეპოვებთ ხსნას გაჭირვებიდან

ჩვენი მწერლობა მეტად შეწუხებულია და აღელვებული, რომ ქართველების მამულები საბაზროდ ამოძრავდნენ და, რომელი ჯურის უცხოელი გინდათ, რომ მათს სყიდვა და გასყიდვას არა სცდილობდეს. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, ყველა ჭკუათ-მყოფელი ქართველისთვის სამწუხაროა, და ამაზედ ლაპარაკი და წერა დიაღაც ღირს. ქართველს როგორც კერძო ცხოვრების ისე საზოგადოებრივ, საეროვნო მნიშვნელობის მქონეთ სხვა რაღა დარჩა, თუ არ მამული და ესეც, რომ ხელიდან გამოეცალოს, მაშინ მისს აწმყოს და მომავალს რაღა ფასი ექნება? ხომ ამ თავითვე ვიცით, რომ მამულის საფასურად მიღებულს ფულს რაიმე საბოლოო საქმისთვის გამყიდველების მეათედი ნაწილიც ვერ გამოიყენებს; მემკვიდრეობითი უანგარიშო გულუხვობის გადამკიდეს, მიღებული ფული ხელიდამ მთლად უნდა გამოეცალოს და პატარა ხანს უკან ეფრო გაჭირვებულ ცხოვრებაში ჩავარდეს, ვიდრე მამულიან დროს იყო. ეგრედვე ხომ ისიც ვიცით, რომ უმიწა-წყლო ხალხს საზოგადოებრივს ცხოვრებაში ხმა არსად ამოელება... გარემოება დიაღაც რომ სამწუხაროა და დასაღონებელი, მაგრამ წუხილითა და ღაღადით რამე უბედურს მოვლენას როდის დასდებია წამალი და როდის მომხდარა მარტო ღაღადსა და წუხილს უბედური მოვლენა მოესპოს ან შეემცირებინოს მაინცა?..

ცხოვრება თავის გზაზედ მიდის. მარტო ურვაწუხილი, გარეშე ზრახვა და დრტვინვა გზას ვერ შეაცვლევინებს... ვისაც მამული გულიდამ ამოუღია, იმას, ეს ვსთქვათ, თვითონ მამულშივე აქვს ამის მიზეზი, უკან ველარავინ დააბრუნებს, თუ მისი შერჩენისათვის შესაფერისად არ მოეწყო გარემოება, შესაფერისად არ გაეკვალა გზა და ამ გზაზედ თავისით ან სხვისა დახმარებით არ დადგა.

მამულის გამყიდველნი თითქმის ყველა დიდი მემამულენი არიან. დიდ მამულებს კი ეხლანდელ დროში დიდი მოვლა ესაჭიროება და ამისთვის კიდევ დიდი წარმოება, რომ პატრონს კისერზედ ტვირთად არ აწვეს. ამ ჟამად არც ერთისა და არც მეორის ლონე არა აქვს და ამ ტომაც იგი (მამული) მართლა ტვირთია პატრონისათვის. ერთის მხრივ ცოდნის უქონლობა და წარმოებისათვის ნივთიერი ულონობა და ზედაც კიდევ მოვლისა და შენახვის ხარჯი, – რაიცა მამულს „მკვდარ" ქონებად ჰხდის, – და მეორეს მხრივ მამულებზედ შეწერილი საერო გადასახადის თანდათანი ზრდა; უამისოდაც პატრონის დავალიანება,— რაკი მამულს იმდენი შემოსავლიანობა არა აქვს, რომ ცხოვრებისათვის ყველა საჭირო მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, და ყველა ამის გამო გაჭირვებული ცხოვრება... განა საკმარისი არ არის მამულმა პატრონს თავისი თავი გულიდამ ამოაღებინოს, როგორც რამე მოსაბეზრებელ'ა მავნე საგანმა, და ბაზარზედ გასასყიდად გაატანინოს?! განა დარწმუნებული არ არის, რომ მამული მისთვის ჯერ თავისთავად მძიმე ბარგია და მერე კიდევ, დღეს იქნება თუ ხვალ, ან მოვალე (ბანკია თუ კერძო კაცი) გაუყიდის მას, ან კიდევ საეროობო გადასახადს ასანაზღაურებლად — ხაზინა. ისიც ხომ იცის, რომ ამ იძულებითი გაყიდვით — მაგალითები თვალწინა აქვს — შეიძლება თვითონ სულაც არაფერი ერგოს და თავის ნება გაყიდვით კი დარჩება რამე ეს ისეთი მძლავრი გარემოება., რომ ვერავითარი გარეშე დაშლა და რჩევა მამუ-

ლისადმი სიყვარულს ვერავის აღუძრავს და გასყიდვის გადაწყვეტას ვერავის დაა'შლევინებს.

მამულების გასყიდვის შეკავება, ანუ ისე გასყიდვა, რომ ქართველ ხალხსავე დარჩეს, მხოლოდ მამულების წარმოების გაჩენით შეიძლება, და ეს წარმოების გაჩენა-გაჩაღება აწინდელ გარემოებაში ადვილ შესაძლებლად მიგვაჩნია, თუ საქმიანობის უნარი სრულიად არ დაგვიკარგავს და მარტო ლაპარაკის და წუწუნის ნიჭის მეტი აღარა შეგვრჩენიარა.

ჩვენს დიდს მამულებში მრავალი განძია ხელუხლებელი, მაგრამ მათში ერთი ისეთია რომ—არც ხანგრძლივს რასმე კვლევა-ძიებას და მაზედ ხარჯს ითხოვს და არც ფორმალურს რასმე მიწერ-მოწერას საჭიროებს, არამედ ყოველ გვარ დაბრკოლებისაგან თავისუფალია. ეს გახლავთ ტყის რატიონალური წარმოება; რადგან საწარმოებელ-სამრეწველო მასალის მოთხოვნილება. დიდია მთელს ევროპაში და ამ მოთხოვნილებამ ჩვენამდისაც უკვე მოალწია, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ მის დასაკმაყოფილებლად ტყეების წარმოება-მრეწველობას შევუდექით, შეგვიძლიან არა თუ შევაფერხოთ, არამედ სულაც გავაქარწყლოთ მამულების გასყიდვის სურვილი და მაინცა და მაინც გასასყიდსაც ისეთი გზა მივცეთ, რომ ჩვენს, უსამართლობით შევიწროებულ ხალხს არ დაეკარგოს იგი.

ამ საქმის შედგომა თითოობით მოუხერხებელია და თითქმის შეუძლებელიცა. ამისთვის მემამულეთა ამხანაგობანი უნდა შესდგეს ამ ამხანაგობათა ერთმანეთთან საჭირო კავშირის დაჭერით—და სამოქმედო თანხის მისაზიდად ამხანაგებმა თავიანთი ჰამულები უნდა დასდვან თავდებად. ამ თავდებობით ხის მასალის შემომკვეთი პატრონს (თუ ამხანაგობას) შესაფერი პირობის შეკვრისათანავე, ბანკის საშუალებით, საწარმოებლად საჭირო ფულს აძლევს ზედ და შესრულებული საქმის საფასურსაც იმავე ბანკით იხდის.

ამ გვარს აღებ-მიცემობაში ბანკებს დიდი მნიშვნელობა აქვსთ და მასთან დიად სარგებლიანი აღებ-მიცემობაცა. ეხლა ასეთი აღებ-მიცემობა რუსეთის უფრო კერძო საზოგადოებათა ბანკების ხელშია, და ჩვენი მრეწველობის გასაღვიძებლად და გასაძლიერებლად კი კარგი იქნება ეს აღებ-მიცემობა ჩვენმა მომავალმა სავაჭრო-სამრეწველო ბანკმა იკისროს. ამით მრეწველობის საქმესაც გააადვილებს და თვითონაც დიდ აღებ-მიცემობას გაიჩენს. მაგრამ ეს არის, რომ ამისთანა აღებ-მიცემობისათვის ბანკს დიდი თანხა დასჭირდება და ამ თანხის მოდენას ახალი ბანკის დამაარსებელნი არ უნდა გადაეღობნენ როგორც ზოგიერთნი [illegible] რჩეობენ ამას. ბევრისაგან გაგვიგონია: „ეკრებზედ მრავალი აწერს ხელს და იმდენი ფული კი რად გვინდაო. დიალაც, თუ ბალიშად გავიხადეთ ფული და ზედ დავჯდებით, როგორც ერთი „ვითომ ბანკი“ შვრება ამას... უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა უძრავი განძით სავსეა და ჩვენი ხსნა და მომავალი მისი ამოძრავება-დამუშავებაა. ამიტომაც უნდა ვეცადნეთ იმ ღონის ბანკი დავაარსოთ, რომ ყოველ გვარი წარმოების გამაღვიძებელი და ამამოძრავებელი ფული შინვე გვქონდეს და უცხოელებისაგან არ ვეძებდეთ ამ ფულს და ამით არ ვაძლევდეთ ჩვენთვისვე საჭირო მოგებას. (აქ, ფრჩხილებში მაინც, იმასაც ვიტყვი, რომ ბანკის მაწარმოებელ გამგეებად უეჭველად საფინანსო საქმეში გამოცდილი პირნი არიან საჭირო, და ღმერთმა ნუ ჰქნას მასწავლებელი და ლიტერატორები მოჰყვნენ შიგ: ამ თავითვე გააუკულმართებენ საქმეს)...

თუ ზემოხსენებული ტყეების მაწარმოებელი ამხანაგობანი დაარსდებიან ჩვენში, რისაც ამ დროების გარემოება-მოთხოვნილების მიხედვით დიდი იმედი გვაქვს,—(ერთი უკვე დაარსდა და მოქმედებასაც მალე დაიწყებს),—უცხოეთიდან დიდი ფული დატრიალდება ჩვენში და ეს გარემოება იმ ამხანაგობათ ღონეს მისცემს ჩვენი ქვეყნის სხვა უძრავი სიმდიდრეც (მადნეულობა) აამოძრავონ და ეგრედვე კიდევ სამეურნეო ნაწარმოებსაც შესაფერი მეურნე—შრომელისთვის სასარგებლო გზა მოუნახონ და მით სამეურნეო მრეწველობაც დააწინაურონ.

აი ამაზედ უნდა იფიქროს ჩვენი საზოგადოების მოაზრე ნაწილმა (ინტელიგენციამ), და ახლად დაარსებულმა ჩვენმა ჩვენმა სავაჭრო-სამრეწველო ბანკმაც ამ აზრის განხორციელებას უნდა შეუწყოს ხელი. მარტო ამით და სხვით არაფრით შეიძლება ჩვენი მამულების შერჩენა და ჩვენი ხალხის გაბოგანოებისაგან ხსნა.

თავისუფალი მეთვალყურე.

სომხური მეცნიერება *)

ბ-ნი იშხანიანი, ეკონომიურ საკითხების გადათვალიერების შემდეგ, გვერდში უყენებს მათ— პოლიტიკურ საკითხს და მასხარად იგდებს ქართველი ერის მოწინავე ჯგუფებს, რომ მათ რაღაც ფანტასტიური მისწრაფებანი აქვთ თავის ტერიტორიის დაცვისა, მათ ეშინიათ, ვითომ კაპიტალისტი სომხები, გარდა იმისა რომ ქარხანა-ფაბრიკებს აშენებენ, მერე სომხის კოლონიებსაც ჩაასახლებენ საქართველოშიო. დიახ, ჩვენ გვეშინიან ამისი ისევე, როგორც ყველა უცხო კოლონიზაციისა, რადგან ეს ფანტაზია უკვე ფაქტია და ეხლაღა უნდა მივიღოთ ზომები ამის წინააღმდეგ, რადგან ის, რაც გუშინ მასპინძლობად ჩაგვეთვლებოდა, დღეს თვით იშხანიანებისაგანაც კი, სტუმრებისაგან, ცხოვრების ჩამორჩენილობად ითვლება. ჩვენ სრულებით არ ვაზვიადებთ სომხურ ნაციონალისტების პროგრამას და არ გვეშინია მათი, რადგან მათი პროგრამა წინდაწინვე ნიადაგს არის მოკლებული, მაგრამ ის, რასაც თავისთვის ვერ გამოიყენებს სომხობა — ხელსაყრელი იქნება სხვებისათვის: ჩრჩილი როცა ხალიჩას გვიფუჭებს, ჩვენ იმას კი არა ვშიშობთ, რომ პარაზიტი ხალიჩას მიითვისებს ან შეიძენს, არამედ იმას, რომ წამხდარი ხალიჩის შეძენა ყველა ვიგინდარას შეუძლიან, და **პროვოკატორული** კითხვა, თუ რა საშუალებით გვინდა სომხური კაპიტალიზმის განდევნა, **უხეში ძალით**, თუ **დაძალებითი კონფისკაციით მათი სიმდიდრისა**— სრულიად უადგილოა, რადგან სწორედ იმ „ბავშვური გულუბრყვილობის" იმედი გვაქვს, რომ ავტონომიურ საქართველოში კი არა მარტო დღეიდანვე იბადება ის ქართული ბურჟუაზია, რომელიც სათანადო კონკურენციით აღგვის სომხურ ჩარჩულ ბურჟუაზიას, რომ გზა გაუკაფოს და ნიადაგი მოუმზადოს ხალხის უმრავლესობის საკუთარ ძალთა გამოსააშკარავებლად. თუ იშხანიანცებს ეს სიზმრად და ოცნებად მიაჩნიათ (75) რაღა ლექციების და ბროშურების ბეჭდვა სჭირიათ: დონკიხოტები ხომ არა ხართ, ოცნებას ებრძოლოთ?!

მაგრამ აქაც არა ჩერდება ბ-ნი იშხანიანი და იგი პროტესტს აცხადებს **უდიდეს ოცნებისადმი**— საქართველოს ავტონომიისადმი, რადგან იგი უტოპია არის თანამედროვე პირობებში, და თუნდაც უტოპია არ იყოს, ამ **რეაქციონურ** მოგონებას კავკასიელი (?) და კერძოდ ქართული დემოკრატია ნებას არ მისცემსო. ჩვენ არ გვეშინია თავს მტვრევა ოცნებასთან ბრძოლაში ერთის მხრით, და ავტონომიის გამოცხადება რეაქციონურად, მეორეს მხრით. ავტონომია ეგებ საშიში იყვეს ისეთ შშიშარა ბურჟუაზიისათვის, როგორიც არის სომხური მოვახშეობა, რადგან საკმარისია ჩვენი ორგანიზაცია, რომ მათი დავთრები ახლა სხვა ადგილებში გადავიდნენ, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ „რეაქციონურ" იდეისათვის მთელი სომხეთის ერი მსხვერპლად ეწირება ოსმალეთის სახელმწიფოს. და თუ ეს იდეა რეაქციონურია საზოგადოთ—არ შეიძლება აგვიხსნას იშხანიანმა რად დაეძებს მას სომხობა ოსმალეთში, ირლანდიელები ინგლისში, ჩეხები ავსტრიაში, პოლონელები რუსეთში და სხ. და სხ.

„Идею національно-политической автономіи я считаю узконаціоналистическимъ, реакціоннымъ стремленіемъ, вотъ чѣмъ обусловливается моя позиція противника". **Я считаю**! ნეტა ვიცოდეთ მაინც, საიდან შოულობენ სომხური მეცნიერები ასეთს სითამამეს? თითქო იშხანიანის აზრი—რომის პაპის შეურყეველი მცნება იყვეს, თითქო მეცნიერება და იშხანიანი—ეს ორი ღვიძლი ძმა იყვეს! ქვეყანაზედ არ მოიძებნება ისეთი ერიც კი (წარმოიდგინეთ, ისეთი უბედურიც კი, რომლის კალთაში იბადებიან მეცნიერი იშხანიანცები), რომელიც არ ეტრფოდეს და არ იბრძოდეს ავტონომიისათვის, მეცნიერებისათვის ხომ ეროვნული თავისუფლება საკამათო საგანსაც კი აღარ შეადგენს და თბილისში ამობრწყინდა მეცნიერი— ავტონომია რეაქციონური მოვლენა არისო.

მაგრამ მაგარ სიტყვებს ახლა ისეთი გასავალი აღარა აქვთ, როგორც ამ 7—8 წლის წინად და რომელიმე იდეის და მისწრაფების რეაქციონურად მონათვლა საკმაო არ არის, თუ ამ სიტყვას საფუძველი და საბუთი არ მისდევს თანა; და რა საბუთები მოჰყავს იშხანიანს ავტონომიის რეაქციონობისა? არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფაქტი: სთქვა და გაათავა, თითქოს მისი ავტორიტეტი „მეცნიერისა" სრულიად საკმაოა, რომ მკითხველმა დაიჯეროს—ავტონომია — რეაქციონული მცნება არისო. საკვირველი აქ ის არის, რომ სანამ სომხურ ბურჟუაზიის პროგრესივობას ამტკიცებდა—საბუთებს ევროპის და საზოგა-

*) იხ. „კლდე" № 14, 15 და 16.

დოთ ბურჟუაზიაში ეძებდა და იქიდან დასკვნა გამოჰყავდა: მაშასადამე სომხური ბურჟუაზიაც პროგრესიულიაო და როცა ქართულ ავტონომიაზედ გადადის,—სრულებით ივიწყებს რომ ევროპაში და საზოგადოთ ავტონომია—პროგრესივობის მომასწავებელია და ჩვენს სინამდილეში კი უეჭველად რეაქციონული იქნება.

აი ამასა ჰ-ვიან: „кала хочишь Исай Аракелычъ, кала хочишь Аракелъ Исаичъ“.

ასეთი ბრძნული გადაწყვეტის შემდეგ, ჩვენი პოლიტიკურ მისწრაფებათა რეაქციონობაზედ და სომხურ ეკონომიურ მისწრაფებათა პროგრესივობაზედ— იშხანიანი თამამად ამბობს, რომ ქართული პრესა ყოველთვის იყო **ერიშის მომტანი მხარე** (нападающая сторона) სომხებზედ, რადგან ბუნებრივია, რომ სუსტი, დაძლეული უფრო მეტს ყვიროდეს და პირს იხოკდეს, ვიდრე გამარჯვებული და მძლავრი კაპიტალის წარმომადგენელნი, რომელნიც **აფრიალებენ მოთმინების, მშვიდობიანობის ალამს და ქადაგობენ ძმობას და ერთობას (51).**

ერთის მხრით ეს მართალიც არის, რადგან სომხურ წათამამებულ და ჩუმად მომქედ, აუღელვებლივ, უყვირილოდ და უგანგაშოდ პოლიტიკას— ჩვენ მარტოოდენ საგაზეთო ყვირილით და პირღიაობით უპასუხებდით ხოლმე, მაგრამ თვით იშხანიანის გამოსვლა ამტკიცებს, რომ დრონი იცვალნენ და განგაში, ლექციები, ბროშურები და სხ. ნელ-ნელა სომხის იდეოლოგებთან გადადის, რადგან ქართველთა ეროვნული გამოღვიძება ახლა საქმითაც მტკიცდება და გამარჯვებულ სომხის კაპიტალს უფრთხობს ძილსა.

იშხანიანი უპირისპირებს სომხურ კაპიტალიზმს და ქართულ თავადაზნაურულ ნატურალურ მეურნეობას და მათ განწყობილებიდან გამოჰყავს დასკვნა სომხისა და ქართველ ხალხის დამოკიდებულებაზედ. ეს ისევე ლოღიკური მოსაზრებაა, როგორც

. . . . . .

—

რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, ბოლო ამ წერილისა ვერ დაიბეჭდა, რადგან პოლიციამ ამოაგო იგი სტამბიდან,

ამგვარად, როგორც მკითხველიც ხედავს, არ არსებობს წინასწარი ცენზურა, მაგრამ არის გულთმისანი „შინაგანი“ და გარეგანი“ პოლიცია, რომელიც მაშინვე გამოიცნობს ხოლმე ალღოთი თუ სად რის დაწერას აპირებენ და... ხელს შეუშლის. ცენზურა თუ ზრდილობიანად დაგელაპარაკებოდათ, დარბაისელ წითელ მელანს წაესვამდა თქვენს „ნაოცნებარს“, პოლიციამ ეს არ იცის—დაუკითხავად გაგიტეხს კარებს რედაქციაში, სტამბისას, ამოიღებს დედნებს, კორექტურებს, აწყობილ წერილებს და არც გეტყვის თუ რათა, არც დარდი აქვს, რომ ეს აგვიანებს, ან სპობს ბეჭდვით ორგანოს, რომ ფუჭდება საქმე და ზარალი მოსდის რედაქციასაც, ხელის მომწერს და მკითხველს.

წინად კაცმა იცოდა, რომ რაც აკრძალულია ვერც დაიბეჭდება, რადგან ცენზურაც ამისათვის იყო „წინასწარი“—ეხლა სუყველაფრის დაბეჭდვა შეგიძლიანთ, რადგან აკრძალული არაფერია, მაგრამ სულ უბრალო ამბავსაც ვერ დაბეჭდავთ მაგალითად იმაზედ, რომ ჩვენ კატას და მეზობლიანთ ძაღლს ჩხუბი მოუვიდა, რადგან შეიძლება ეს ძაღლი პოლიციის მაძებარი ძაღლი გამოდგეს და მაშინვე ამაში „სახელმწიფოს შერყევა“ დაინახოს ვინმემ. ჩვენ დროში ხომ წინასწარი ცენზურა არ არსებობს და მაშ რა ქნას პოლიციამ თუ წინასწარ არ გამოიცნო ყველაფერი და „საშიშ“ ლიტერატურასთან ერთად სულ გულუბრყვილო ამბებიც არ გადააყოლა: სჯობს მოისპოს პრესა, ეს მუდამ ქაოს მყვირალა და სიმართლის მაძიებელი მოვლენა, ვიდრე პოლიციას გაეპაროს რომელიმე „საფუძველთა მრყეველი“ ამბავი.

ღმერთმა აცხონოს წინასწარი ცენზურა: სახლში მაინც არ შემოგივარდებოდა, იჯდა თავისათვის კაბინეთში და უსვამდა წითელ მელანს; თუ შენის ფეხით არ მიუტანდი წერილს, არც კი წაიკითხავდა; დღეს კი არც შენა, არც შენ ოჯახს, არც შენ მესტამბეს, არც ამწყობს, არც მკითხველს გარანტია არა აქვს რომ ხვალ პოლიცია არ გასჩხრეკავს. გაზეთის კითხვა საშიში ხდება, რადგან არავინ იცის, შიგ რა ეშმაკურ ამბებს არ დასწერს რედაქტორი და მერე იტლინკე: მე რა ვიცოდი: „კანონის უცოდინაროობით კი ვერავინ იმართლებს თავსა“ მაგრამ არა, მკითხველო, ნურც ეგრე შეკრთები: ამისათვის არსებობს, თუ რედაქტორის კეთილ-გონიერება და კეთილ-ზომიერება არა ყოველად შემძლე პოლიციის ალღო, რომელიც წინასწარ ამოიღებს ყველაფერს, რაც „საძრახისია“ და იმასაც თან გააყოლებს, რაც საძრახისი არ არის. მშვიდათ იყავ, მკითხველო, მზრუნველობას ამ მხრივ, არავინ მოგაკლებს... შენ სხვა თქვი, თორემ...

* * *

ჩვენი ზღაპრები

I

ჯონჯოლისა და ერთ ღარიბ სომეხისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი სომეხი. ისეთი ღარიბი იყო, რომ ორი ტარანის ფულიც კი არ ებადა.

ერთხელ დალონებული, თავჩაღუნული, ქუჩაზე მიდიოდა და მწარე, ღარიბ კაცის ფიქრებში გახვეული, უეცრად წააწყდა ძველ ნაცნობს—მემწვანილე არზაპეტას. „კაცო, მკრტიჩ! საიდან ამოტივტივდი თბილისში, როდის მოხვედი, რას აკეთებ?“ მიაძახა ნაცნობმა. „ღმერთმა დასწყევლოს ეს თქვენი ქალაქი, — მიუგო მკრტიჩმა — ეს ერთი თვეა ყარსიდან ამოვედი, ორი თუმანი ამოვიტანე, შევჭამე და სამუშაო კი ვერსად გამოვნახე, შიმშილით კუჭი მიხმება და ლამის ვანის სომეხსავით მათხოვრად გადავიქცე. ყარსში მეუბნებოდნენ რას გდიხარ წადი თბილისში ის მდიდარი ქალაქია, მდიდარი ქვეყანაა... ჩვენები იქ მრავლად არიან დაგეპატრონებიან, გიშველიან და ფულიან კაცად დაგვიბრუნდები. ფული კი არა, ნეტა ფეხები წავიღო აქედან ისეთი უმუშავრობაა... არა, წავალ სამშობლოში, იქ მირჩევნია ‘ნიმშილისაგან სიკვდილი“ მოსთქვამდა საბრალო მკრტიჩი.

„აი შე სულელო, სულელო!“ — უპასუხა არზაპეტამ „შენ წინაპრებში უსათუოდ ქართველი გეყოლებოდა“

თორემ ვის გაუგონია კუჭ-გამხმარი სომეხი?..

გამიგონე, თბილისში ვერც სამუშაოს იშოვნი, ვერც ფეხს გაიდგამ, სანამ ხელებს და ფეხებს მის გარშემო ქვეყანაში არ დააფაცურებ. აი ერთი მანეთი, ადი ქ. გორში და ინახულე ჩემი მონათესავე ვაჭარი პეტროსი. ის ყველაფერში დაგეხმარება და საქმესაც გამოგინახავს. ორი თვის უკან კაცი გახდები, გესმის? ნამდვილი სომეხი, გესმის? წადი. მართლა მანეთი და მისი სარგებელი—ერთი აბაზი უნდა ჩამაბარო, არ დაგავიწყდეს. ავიდა ჩვენი მკრტიჩი პეტროსასთან, უამბო თავისი ამბავი. — კარგი!—უპასუხა პეტროსამ—დროს ნუ ჰკარგავ, აი თუმანი წადი კნიაზ ფალავანდიშვილთან, მიეცი ეს თუმანი, ბედ და სთხოვე მის ტყეში ჯონჯოლის კრეფვის ნება მოგცეს. შეუდექი საქმეს და როდესაც 50 ფუთს შეასრულებ, მაცნობე. მკრტიჩი მარდათ მოეკიდა ამ საქმეს, დაიკავა ფალავანდიშვილის ტყე და ერთი კვირის განმავლობაში 80 ფუთი ჯონჯოლი შეასრულა. მიუტანა პეტროსს. მიიღო მისგან 100 მანეთი. აქედან კნიაზს [illegible] დაპირებული კიდევ 20 მანეთი. და დანარჩენ ფულით დაიკავა საამირაჯიბო და საციციანო ტყეები... მიიშველა მუშა ხალხი და 1,500 ფუთი ჯონჯოლი მოაგროვა... ამაში მოიგო 1,200 მანეთი. სამი წლის განმავლობაში მკრტიჩმა დაატრიალა 15 ათასი მანეთის ჯონჯოლი. წმინდა მოგება დარჩა 8,000 მანეთი. ჩამოვიდა თბილისში, დაუბრუნა არზაპეტას მანეთი თავის სარგებლით და გახსნა სავაჭრო დუქანი ვაგზლის ქუჩაზედ. ეხლა მკრტიჩი წელიწადში 25,000 მანეთს ატრიალებს, მოგებაში აქვს 11,000 მ. და თავის ნათესავებს ყარსში ყოველ წლივ სამას თუმანს უგზავნის.

ლიმონა.

ბრძოლის ველზედ

ამბავი ფელიქსენ ნაკლისა (1813 წ. ომის დროისა)

თენდებოდა. ჯარის ბანაკი იღვიძებდა, მაგრამ გამოღვიძება ეს დუმილით იყო აღსავსე, რადგან ყოველი მეომარი ამ ფიქრით იყო მოცული, რომ შეიძლებოდა ხვალინდელ დილის რიჟრაჟს ადარ დასწრებოდა.

გენერალ შერსიეს ბრიგადა მარცხენა ფროის ჯარს შეადგენდა, დიდი გზა გამოიარა ბრიგადამ და დიდათ იყო დაღალული, მაგრამ მეომარნი ყოჩაღათ იყვნენ, ამათ კარგად ესმოდათ, რომ დღევანდელ ბრძოლაზედ ეკიდა გამარჯვება.

მშვენიერი დარი იყო. გენერალი ჩადის სკამზედ იჯდა და ტეტხლზედ ფეხებს ითბობდა, ადიუტანტები გარს ეხვევნენ.

ცხენებს ჭკაზმავდნენ. იწყობოდა შესანიშნავი ისტორიული დღე საფრანგეთისთვის.

ამ დროს მოუახლოვდა გენერალს ემაწვიდი, ჯერ უწვერ-ულვაშო, ამ ორი დღის წინად გამოსული სამხედრო სკოლიდგან.

— შენა ხარ, ჟაკ!—ეთხრა მოხუცმა და ალერსით ხელი გაუწვდინა შვილს.—რა გინდოდა?

— მე მინდოდა მეკოცნა შენთვის, მამაჩემო, ბრძოლის წინათ.

— არა დრს, ჩემო ბიჭუნა,—მიუგო მამამ.

— დღეს შე შენი შაბ კი არა, უმეტესი ვარ მხოლოდ. მე ირძახება ეგვე გავეცი და შენ შენ ადგეზე ენდა იეგე.

ემაწვილი კაცი ოდნავ შეწითლდა, სადამი მისცა გენერალს და გაბრუნდა. მამამ თვალი გაიოლა და მერე მიუბრუნდა ერთ-ერთს თანამოსამსახურეს:

— სწეადი ბადდი! მე ვაწეენინე, მაგრამ ეხლა დრო არ არის ადერსისთვის. შეიძლება მოდბე, დაძ ბუნდე... თუ სადამამდინ ორივე გადავრჩებით განსაცდელს, მაშინ გადავკოცნი ხემს მაგიერათაც და ედისაცა...

გაისმა საეგორის ხმა და ჯარი დაირაზმა. ბანაგის მოახლოებით მატარა ტეეში დაბინავებული იეო. დაზარეთი.

მოშეადდეგდა. მზეზედ ბზინავდნენ ფეხითა ჯარის მტიქები და ცხენოსანთა კასკები, ამოწვდენილი ხმლები ათეტრებისა. ეცე მოისმა ზარბაზნის გრიალი და ჯარს თავს გადაეკვლი ეემბარა, ეს მოწინააღმდეგის არტილერიის ბრძოლის დაწეების ნიშანი იეო. მალე მას მ-ეკვა ხანგრძლივი სროლა, ერთი მათგანი მიგ შეა ბანაკში გასკდა და სამი კაცი გამოჭეალეიკა რაზმიდან. ეთრეული სისხლი დაიქცა მიწაზედ. გენერალი უნძრეკელად იჯდა ეერე დაცქვეტილი ცხენზედ. გენერალი მხოლოდ ნიშანს, ელოდა, რომ ჯარი დეეძრა. იმის მძღავრი ვაკ კეტერი შენდეულობა მკვიეთად მოსრნდა დიდის გამწირვალე ჭაერზედ. ის ისე დამშვიდებული იეო, რომ სადათები იმის მაგალითით ხელმძღვანელობდნენ და გრძნობდნენ რომ იმის გეთილ სინიდისიერებაზედ იეო დამოკიდებული სიცოცხლეც და გამარჯვებაც.

ეცე მოისმა საშინელი ხრიალი გამსქდარის ეემბარის. გენერალმა მიიხედა უკან.

— უბძანეთ, ჯარის ნაწილების ეეფერასების დაეეგირა იმან თავის ადიუტანტს, რომ დედამიწაზედ დაეწვინონ სადათები!

ბრძანება ასრულდეს. ჯარის გასამხნევებლად მხოლოდ ათეიერები იდგნენ ფეხზედ..

გენერალი ბინოკლით ეეურებდა მტრის ბანაკის მოძრაობას და ელოდა ბრძანებას ბრძოლაში ჩარეგისთვის.

ეცე ხელი აიქნია.

ადექით!

წამზედ ეგელანი ფეხზედ იდგნენ. ძლიგს შემოს ძახეს სადათებმა. გენერალმა მერსიეს შეიდისკენ მიიხედა. ჯაკი მოდიმარი იდგა და ამოდებული ხმალი მარჯვენა ეეზირა ხელში. შეიდის სიმამაცემ და მშვენიერმა ვაჟკაცობამ მამის ეული გაუხარა. ერთის წამით თვალწინ წარმოუდგა იმი სიეაფეწილი, ბაგეური თამაშობა, სწავლა

და იმის თვალების მშობლიური სიბაზის ცრემლები მოადგნენ.

გენერალი ის იეო გამმზადა ჯარის დასაძრავად, რომ გვლავ ეემბარამ გაიზეზეზეა და სიძინლად გასკდა და ორივე ფეხებ-მოგლეჯილი ეეგალ-ეერეულ ერთად დედამიწაზედ გაიარა. გენერალი უსიტეეოდ იდგა: იმის წინ სეელ დეედა ეძვირფასესი შეილი და იმის კი არ შეეძლო ხელი გეეწვდინა, ეამბორნა... იმის კარგად ესმოდა, რომ ეძვსი ათასი კაცის სიცოცხლე ამაზედ იეო დამოკიდებული და ვერ ეედალტებდა. მხოლოდ მწარე ცრემლებმა დადარეს იმისი გაფითრებული დოეები.

მოიაგდაკი ფაკი ლაზარეთისკენ წაიღეს. როდესაც მაძის წინ გაატარეს, მერსიეს ქედი მოიხადა და სეელის შეშზარაგის ხმით უბრძანა ჯარს.

— ბატიეი ეცეთ!

— ბატიეი ეცეთ!—განიმეორეს ეგელა ჯარის ნაწილის ათეტრებმა.

და მთელმა ბრიგადამ ბატიეი სცა ემაწვილ ათეტერს. მაშინ გენერალი ეზანგეებზედ შესდგა და სამანელის ხმით, რომელიც დაჭრილის დომის ხრიალს მიაგავდა, შეგვეერა:

— გასწეთ!

და მთელი ბრიგადა, როგორც ერთი კაცი, შეეეგეთა მტერს.

ეკ. გაბაშვილისა.

პ რ ე ს ა

გამწვავებულ მიწის საკითხის გარშემო ატეხილმა კამათმა და წერამ თავისი ნაყოფიც გამოიღო. პრესა და საზოგადო მოღვაწენი შეუდგნენ პრაქტიკულ საადგილ-მამულო ორგანიზაციის გამონახვას და მოწყობას. მისი საჭიროება დღეს ყველასათვის ცხადია. „სახალხო გაზეთი“ სწერს:

„არც ტარიფთანის ჭკვის საქმე და არც ბოროტადოდგი გლეხების გადასახლების აზრი არ არის განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი მოგვეხა დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენი გლეხების იძულებითი ვერა მამაზეეული აგვილებიდან ბირეკვლად არ ხდება ჩვენში. არც ისაა ბირეკული, რომ გლეხები ველარ სძლებენ თავის სოფელში უმიწობის გამო და ცდილობენ სხვაგან გადასახლებას და დაბინავებას. ბირეკულად არ გვესმის, რომ

მას ჩვენი ტერიტორია სიფრთხეშია, რომ მრავალმხრივ მოელის განსაცდელი, რომ ჩვენი გლეხობა ბევრგან მეტად შეგიწროებულია უადგილობით და საჭიროა ეროვნული მოწყობა გადასახლება-გადმოსახლებისა ჩვენი ეკონომიურისა და ეროვნულის ინტერესების მიხედვით. ამაზე ბევრსაც ვსწერთ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდი საქმით არა კაგვიკეთებია რა.

ტერიფონის ვედის და ბორჩალოელი გლეხების ამბავმა ახლა მაინც აღძრას ჩვენს საზოგადოებაში სურვილი ისეთი მუდმივი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელიც საქმით და არა მხოლოდ სიტყვით შეუდგება საადგილ-მამულო მუშაობას.

ასეთი მუდმივი ორგანიზაცია დღეს ეწყობა. ეს გახლავთ საადგილ-მამულო კომისია, რომლის პროექტი დაბეჭდილი იყო ჩვენს ჟურნალში და რომელიც დეპუტატთა საკრებულომ და მიწის საკითხის მცოდნე ქართველმა მოღვაწეებმა კიდეც მიიღეს. ამ ორგანიზაციას შეუძლიან დიდი დახმარება გაუწიოს საქართველოს მიწა-წყალს და მოუაროს მის მრავალ საჭირბოროტო მხარეებს, რასაკვირველია თუ ჩვენი მომქმედ ინტელიგენტთა წრეები გულმხურვალედ და სიყვარულით მხარს დაუჭერენ მის მუშაობას.

—

ამავე საადგილ-მამულო კომისიის მოწყობაზე გაზ. „იმერეთი“ თავის მეთაურში „ეკონომიური ორგანიზაციები“ ამბობს:

სიხარულითვე ვეგებებით თბილისის ინტელიგენციის განზრახვას, გაეფართოებას ბრიგადამ საადგილ-მამულო ბანკთან(?)არსებული კომისიისა და, თუ ახალი წესდება შეწყნარებული იქნება, ხსენებული კომისია დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ერს.

არავინ იფიქროს კი, ვითომ ეს კომისია, რაგორც ოზნაურული, მარტო თავად-ოზნაურობისთვის იქნება სასარგებლო. ჯერ ერთი, სადღა ჩვენში თავად-ოზნაურობა? ისინი არიან მხოლოდ ეოფილი თავადები ან ოზნაურები, რომელნიც თითქმის ყოველსავე უფლება-უპირატესობას მოკლებულნი არიან. მესამე, ეოფილმა თავადმა რომ თავისი მეურნეობა გაუმჯობესოს, ეს, ცხადია, სასარგებლო იქნება, რაგორც მისთვის, აგრეთვე მისი მუშისთვის და, მეოთხე, ხსენებული კომისიის მოქმედება გლეხებისთვის უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე თვით ეოფილი თავადებისთვის. ამიტომ შეგვიძლია გვთქვათ, რომ ეს კომისია, თუ კი მისი წესდება დამტკიცდა, ნამდვილად დემოკრატიული დაწესებულება იქნება.

—

სომხური გაზეთი „ჰორიზონტი“ სიხარულით გვაცნობებს, რომ:

„რიცხვი სომხების კეთილ მსურველთა და მოგეოთა დღითი-დღე იზრდება. აქამდის ქართულ პარტიათა მორის სომხების სოლიდარობას მარტო სოციალ-დემოკრატია უცხადებდა, ახლა ქართველი სოციალ-ფედერალისტებიც ამ გზას დაადგნენ, რაგორც ეს სჩანს მათ გაზეთებიდან, რომლითაც თავისი წინანდელი კურსი დღეს შესამჩნევად შესცვალეს“...

რასაკვირველია სომხების სასარგებლოდ... ესა ხალი არ არის, — ძველია: ქართველი სოციალისტები და სომხის ნაციონალისტები კაი ხანია მეგობრულად ხელი-ხელ ჩართულნი, საქართველოს პოლიტიკასა ჰქმნიან.

მათი ჭირ-ვარამიც საერთოა.

გუშინ გაუჭირდა სოციალ-დემოკრატების კანდიდატს კ. ჩხეიძეს არჩევნების დროს, ა. ხატისოვი თავის კომპანიით მიეშველა.

დღეს გაუჭირდათ სომეხ ნაციონალისტებს, როდესაც გამოქვეყნდა გადამიჯვნის პროექტი და ნაციონალიზმის ფარული წადილი, — სოციალისტ-ფედერალისტები საშველად მისცვივდნენ:

ბორჩალო-ახალქალაქი მართლა თქვენიაო.

მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, ეს ერთობა ბუნებრივია!

რადგანაც ქართულ სოციალიზმს და სომხის ნაციონალიზმს ერთი საერთო მტერი აშინებს:

საღი ქართული ეროვნული მოძრაობა.

მასთან სოციალიზმიც ყოველ ხალხოსნურ მოძრაობის მონამორჩილია.

დღეს სომხის ერი ამოძრავდა, მიაწყდა საქართველოს, მისი საუკეთესო მამულ-დედული დაიკავა და ქართველობა გამორეკა.

ეს მოდის ხალხია! დემოკრატიული მასაა!

და ქართველ სოციალისტებმა ქედი მოიხარეს და უმრავლესობის და რეალურ მოსახლეობის პრინციპი აღიარეს...

დემოკრატიულ მასის ინტერესს იცავსო, იმის და მიუხედავად გინდ ამან ქართველ ერს ყელიც გამოსჭრას!

ქედი მოიხარეს და კვლავაც მოიხრიან!

ამიტომ გაზ. „ჰორიზონსაც“ შეუძლიან თავისი სიხარული ავანსად გააგრძელოს;

სანამ ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზედ სოციალიზმი მეფობს, სანამ ყველგან დევნილი, შევიწროებული, უმიწა წყლო ქართველი ერი არ მოიწადინებს თავის კერის აღდგენას, თავის სამშობლო მიწის, სხვა და სხვა პროვოკაციით და ძალ-მომრეობით წართმეულის, დაბრუნებას.

ეს დრო კი ცხრა მთას იქით აღარ არის!

მანამ კი უხაროდეს გაზ. „ჰორიზონს"...

როგორც მაგალითად უხარიან დღეს სიღნაღის სომხებს!

გიხაროდეთ...

ბურთი და მოედანი ბ. ბ. დღეს თქვენია!

— —

გაზ, „ხმა კახეთისა"-ში შემდეგი საინტერესო მიმართვაა დაბეჭდილი:

არბოშიკის და ჯუგაანის სკოლების სამღვთო რჯულის მასწავლებელ მღვდელს

პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა თავსა შენსა.

მეხუთე მცნება.

ქრისტე აღსდგა! სულიერნო მამანო!

დედა და მამა თქვენი არს თქვენი მშობელი ერი და მისი ენა, ეს ჭეშმარიტება დღეს ყველასათვის ნათელია, თქვენ კი, რაგორც გავიგეთ, მოჭეშმარიტენ სოფლის სკოლებში რუსულად დოცვების სწავლებას და საწყალ ბავშვებისთვის თავი გამოგიდაუებია.

მამანო! შეიყვარეთ და შეიბრალე მოყვასნი თქვენნი, პატარა ქართველი გლეხები, ნუ აძლიერებთ ჩვენი ერის დასაწყვლად გაჩაღებულ კოტონს!.

ამით თქვენს სულს, მოვალეობას, სინდისს განსაცდელში აგდებთ.

პასუხი, სულიერნო მამანო! იცოდეთ, რომ ვიდრე ზეციერ მამის წინაშე წარსდგებით—ჯერ აქ, სამშობლოს წინაშე აგებთ პასუხს.

როგორ არ წააგვანან ეს ჩვენი სულიერნი მამანი პოლონელ კლიროზებს, რომელთაც ასეთი ლვაწლი დასდეს პოლონელ ხალხს ერეოვნულ აღორძინების საქმეში? დევნილნი, დასჯილნი, ციხეებში ჩამწყვდეულნი მაინც განაგრძობდნენ თავის დიდ მუშაობას და მოუწოდებდნენ პოლონელებს თავის სამშობლო ინტერესების დაცვისათვის — ენისა, მიწისა, ისტორიულ ტრადიციებისა და სხვა.

საამწუხაროა ეს, მეტად საამწუხაროა...

ქართველ ხალხის სულიერ მწყემსებმა—მიივიწყეს ქართველი მრევლი, მიუგდეს იგი უცხოელებს შესაჭმელად...

არბოშიკის და ჯუგაანის მღვდლებს უსათუოდ ჰგონიათ, რომ თავის მთავრობის მადლობას ელირსებიან ქართველ ბავშვების დამახინჯებისათვის და ორდენსაც მოელიან.

მახსოვს ერთმა ასეთმა „მამამ" რევიზიის დროს თავის სკოლაში გამოიყვანა პატარა ქართველი ბიჭუნა და რევიზორის წინ დააყენა, „ჩვენმა მოწაფეებმა ლოცვები რუსულადაც იციანო—უთხრა მღვდელმა რევიზორს. „აბა თქვი რუსულად „მამაო ჩვენო"—უთხრა ბავშვს რევიზორმა. ბავშვმა ყოყმანის შემდეგ და დაამთავრა შემდეგით: Отче дарагая дай намъ кушить хлѣбъ".

მღვდელმა ორდენის მაგიერ მიყრუებულ მთიულეთში ახალი სამრევლო მიიღო. სასაცილოა ეს და მასთან ღრმად საამწუხაროც. თუ ასეთი „მამები" უვლიან ერს, რა კეთილი უნდა დაადგეს მის მომავალსაც.

გაიღვიძეთ სულიერნო მამანო, მოიგონეთ გმირული წარსული თქვენი წინაპრებისა, მოიგონეთ საყვარელი ქართული ეროვნული საქმენი, ჩაუდგეთ ჩვენს ერს ძველებურ სულიერ წინამძღვრად და გაუძეხით მას დღევანდელ ბრძოლაში—ბრძოლაში მშობელი ენისათვის, ეკლესიისათვის, მიწა-წყლისთვის.

კიდევ ტირიფონის ველზედ

ჩვენი მკითხველი უყურადღებოდ არ დასტოვებდა გუშინდელ ნომერში მოყვანილ გორის მაზრის მარშლის თავ. ნ. ა. თუმანიშვილის წერილს, ტირიფონის ველის შესახებ, წერილს, რომელსაც განმარტების ხასიათი აქვს.

უპირველესად ყოვლისა წერილი შესანიშნავია თავის ობიექტიურის ტონით. თავ. თუმანიშვილი ისე გულდინჯათ მოგვითხრობს პოლიგონის ისტორიას და ტირიფონის ველის ბედს, თითქოს მის ისტორიას სწერდესო. ნუ თუ ეს საკითხი მას არ ეხება, ნუ თუ მოვალე არ იყო, ვიდრე საქმე ამ ზომამდე მივიდოდა, სხვისთვისაც გაეზიარებინა ის აზრი—თუ რამდენად სასარგებლოა პოლიგონის ტირიფონაში მოწყობა?

თავ. თუმანიშვილი ბძანებს, რომ „მე სასარგებლოდ მიმაჩნდა ამ რაიონში ბანაკის მოწყობაო“. არავის არ აეკრძალება თავისი საკუთარის აზრის ქონა. მაგრამ თავ. თუმანიშვილი მარტო საკუთარ აზრს არ უნდა დანდობოდა. უპირველესად, ჯერ თვით თავ. თუმანიშვილია ოფიციალური პირი, და ამიტომ ის სხვასაც უნდა შეჰკითხოდა, შემდეგ, თვით საკითხი წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან საზოგადო საკითხს, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტას, შესაძლებელია, აურაცხელი უბედურება მოჰყვეს და, მაშასადამე, ამ მხრივაც საჭირო იყო თავ. თუმანიშვილს თავისი კერძო აზრი საზოგადო აზრით განემტკიცებინა.

ეს საჭირო იყო იმიტომ, რომ როცა ეხლა თავ. თუმანიშვილი ამბობს, პირველში მე მომხრე ვიყავი პოლიგონის გამართვისაო—ეს იმას ნიშნავს, რომ პირველში იგი ამისთვის პრაქტიკულ ნაბიჯსაც გადასდგმდა. საზოგადო აზრი კი რომ სცოდნოდა, ეს ალარ მოხდებოდა. თავ. თუმანიშვილის განმარტებაში ისეთი ადგილიც არის, რომლითაც ის სცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებ საშიშრად წარმოუდგეს ტირიფონის საკითხი ქართველ საზოგადოებას. წინააღმდეგ იმ რიცხვისა, რომელსაც ანგარიშობდა ქართული პრესა, თავ. თუმანიშვილი ამტკიცებს, რომ აყრა მოელის მხოლოდ ხუთიათას სულსო. იქნება ეს მართალიც იყოს. მაგრამ თავ. თუმანიშვილმა ჯერ როგორც გორის მაზრის მარშალმა და მერე, როგორც ტირიფონის მემამულემ უნდა იცოდეს, რომ უბედურობა ტირიფონის ველის პოლიგონათ გადაქცევისა მარტო ამ გადასახლებაში არ არის და არც ამ გადასახლებულთა რიცხვს აქვს უპირატესი მნიშვნელობა. ჩვენის აზრით, მთავარი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ თოთხმეტი ათასი დესეტინა მიწის პოლიგონად გადაქცევა სულ უადგილ-მამულოთა სტოვებს უდიდეს რაიონს მაზრისას და გადასახლებულებზედ უარეს მდგომარეობაში ვარდებიან ის სოფლები, რომელთაც აყრა არ მოელით, მაგრამ რაკი პოლიგონის გარშემო იქნებიან დასახლებულნი, ქრონიკულ უმიწობის მსხვერპლნი შეიქმნებიან. თუ ასეთ სოფელთა რიცხვს ავიღებთ მაშინ მათი მცხოვრები ოცი ათას სულსაც აღემატება. მაშასადამე მართალია ქართული პრესა, როცა ამტკიცებს, რომ პოლიგონის ტირიფონის ველზედ მოწყობა დიდი ეკონომიური უბედურებაა მთელი ქართლისთვისო.

აღსანიშნავია ის ადგილიც თავ. თუმანიშვილის წერილისა, სადაც ის ამბობს, რომ საბანაკო კომისია ანგარიშს არ უწევს, სურთ თუ არა მიწის პატრონთ გაყიდვა თავიანთ მამულებისა. ეს ნიშნულებაა არჩევა შესაფერ ადგილებისა, პატრონთა გამოძებნა და გამოსაყიდ მამულებზე ძალადობულობის გამორკვევა. ეს დიდმნიშვნელოვანი გარემოებაა, მაგრამ მაშინ გორის მარშალმა უფრო აშკარად უნდა სთქვას, კომისია ნებაყოფლობითი ყიდვით ხელმძღვანელობს, თუ იძულებითი ჩამორთმევის პრინციპით მოქმედობს? პირადათ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში იძულებით ჩამორთმევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც მაშინ საკანონმდებლო დაწესებულების სანქცია იქნებოდა საჭირო. („იმერეთი“ № 37.)

პოლიტეხნიკუმის ბედი

ქარიშხალი ჩადგა, ცა მოიწმინდა, ჩვენც დავმშვიდდით და ახლა უფრო ადვილია იმის გამორკვევა, ვინ იყო მართალი პოლიტეხნიკუმის გარშემო ამტყდარ დავიდარაბაში. დავივიწყოთ ყოველივე რაც ითქვა, რაც შეუსაბამო დაიწერა; ნუ მოვიგონებთ ორი ჯგუფის: „ქართველთა და სომეხთა“ გამწვავებულს კამათს და ბრძოლას, ნურც იმას მოვიგონებთ, თუ როგორ უსამართლოდ აყვედრიდენ საბურთალოს მომხრეებს შოვინიზმს არა თუ ადგილობრივ პრესაში, არამედ ზოგიერთ საატახტო გაზეთებიც და ყოველივე ეს ავხსნა შემთხვევით, შეცდომით თუ გნებავთ, მაგრამ არა ავი განზრახვით. ვთქვათ, ნავთლუღის მომხრენი გულწრფელად იყვნენ დარწმუნებულნი საბურთალოს უვარგისობა და მხოლოდ პოლიტეხნიკუმის საკეთილოდ იღწვოდნენ. ეს ხომ უკვე გამოაშკარავდა, რომ ეს ასე არ ყოფილა, რომ ხატისოვ-არღუთინსკები ხელმძვანელობდნენ თურმე პირადი ინტერესებით და ერთი ჯგუფის, მათ დაახლოვებულ ჯგუფის ინტერესებით. ვთქვათ, მათ შეცდომაც ეპატიებათ და ასეთი პირადული ინტერესების სამსახურიც, რადგანაც ისინი თავისი მდგომარეობითაც და დანიშნულებითაც ხომ ასეთ ღვაწლისთვის არიან მოწვეულნი. ვინ არიან ხატისოვ-არღუთინსკები, თუ არა სომხის პლუტოკრატიის მსახურნი და არც გასაკვირველია მათ ასე ღირსეულად დაეცვათ მათი ინტერესები, მაგრამ რა უნდა ითქვას იმ პირებზე რომელნიც სწორედ ამის მოპირდაპირე ლტოლვილებით და ტენდენციებით

უნდა ხასიათდებოდნენ! კავკასიის უმაღლესი მმართველობაც ხომ იმისთვის არა რის მოვლინებული, რომ გულის აყოლით სასწორი სამართლიანობისა ხან ერთ მხარეზე გადასწიოს ხან მეორეზე! იგი პირიქით, მოწოდებულია ის ანტოგონიზმი, რომელიც ისეთ მრავალფეროვან ქვეყანაში, როგორიც კავკასიაა თითქმის აუცილებელია, რაც შეიძლება შეასუსტოს, ინტერესები შეათანხმოს, სამართლიანობის და სიმართლის გუშაგად იდგეს და თავისი ყოველი ნაბიჯი ასჯერ აწონილ-გათვალისწინებული ჰქონდეს! და განა ახლა ცხადი არ არის, როგორი აჩქარებით, როგორ ვარაუდობით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც პოლიტეხნიკუმის ბედი ისე სახელდახელოდ სწყდებოდა. განა ეხლა ცხადი არ არის, რომ სალონის სტუმრებმა და სალონმა გაიმარჯვა კაბინეტზე და საქმეში ღრმად ჩახედულ კავკასიის მესვეურებზე! პოლიტეხნიკუმის ბედი კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ „ფინანსიური მოსაზრებით“ გადასწყვიტა და რას უნდა გრძნობდეს იგი ახლა, როდესაც ცხადდება, თუ რამდენად გულუბრყვილოდ დაენდო სალონების სტუმრებს და სწორედ ეს ერთად-ერთი ანგარიშიანი მოსაზრებაც შეცდომით მოსაზრებული გამოდგა? ქალაქმა უარი განაცხადა მისგან ნაჩუქარ მიწების გასაუმჯობესებლად ხარჯის გაღებაზედ და ამ რიგად „ნაჩუქარ“ მიწების ღირებულება შესამჩნევად მცირდება, რადგანაც პოლიტეხნიკუმს მისი გაუმჯობესობა თითქმის იმდენივე დაუჯდება, რამდენიც თვით ეს მიწები ღირს. გრძნობს თუ არა კავკასიის უმაღლესი მმართველობა, თუ რა მდგომარეობაში ჩააყენა იგი ამ „ფინანსიურმა მოსაზრებამ!“

მაგრამ რაც უფრო საგულისხმიეროა, გრძნობენ თუარა თავიანთ შეცდომას, თავიანთ უსამართლო განსჯას ისინიც, ვინც საბურთალოს მომხრეობას თავად-აზნაურული ინტერესებით ღა ნათლავდა და ქართველებს შოვინისტობას ულაყვედურებდა?! უთუოდ ისინიც გრძნობენ და ხედავენ, მაგრამ სად არის იმდენი სათნოება, რომ ახლა მაინც აღიარონ გულახდით.

ს. დ—ი.

ერთი სანდო კაცი!

ვინ არ იცის რა მდგომარეობაშია ჩვენი ისტორიული ეკლესიები, ტაძრები, მონასტრები. მინგრეულ-მონგრეულნი, ცარიელნი ეპატრონო; „ეშმაკზეა მიტოვებულნი“, ამაზედაც ბევრი იწერება ჩვენს პრესაში, არა ერთი ლექცია წაკითხულა, მაგრამ საქმე კი არსად სჩანს. მნიშვნელობა კი ამ ისტორიულ ნაშთებისა ჩვენს მომავალ ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად დიდია და ბევრს შემთხვევაში უკანასკნელნი დიდ როლსაც ითამაშებენ ქართულ ეროვნულ ცხოვრების გაერთიანებაში და დაქსაქსულ ქართულ ტომთა შეერთებაში. „სახალხო გაზეთში“ მოთავსებულია მეტად საინტერესო წერილი გენ. ხრეითელისა „ბედიის მონასტრის“ შესახებ. სამურზაყანო-აფხაზეთის საზღვრებზედ ამაღლებულია ძველად-ძველი ბედიის მშვენიერი ტაძარი. იგი აგებული ყოფილა ვლახერნის ღვთისმშობლის სახელობაზე მე-X-ე საუკუნეში მეფის ბაგრატ III მიერ (მეფობა 890—1000 წ.). ცნობილ ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში (სამურზაყანოში) ინახება ამ ტაძრის ძვირფასი ოქროს ბარძიმი, რომლის წარწერებში მოხსენებულნი არიან ბაგრატ მე-III და დედა მისი კურანდუხტი, როგორც ამშენებელნი ამ ტაძრისა. კედლის წარწერები აღნიშნავენ, რომ ბედიის მონასტერში ყოფილა მიტროპოლიტის კათედრა. რუსეთის ელჩის ბ. ელჩანინოვის მოგონებიდან, რომელიც ინახული ბედიის მონასტერი 1640 წელს, როგორც მოგვითხრობს გენ. ხრეითელ , იხსენიებს ძვირფას კვერთხს არქიელისას, ეს კვერთხი ნახევრად დაფარული იყო მშვენიერი ხავერდით; ხავერდზედ გამოხატული იყო ჯვრები მეფე კონსტანტინე დიდისა და დედა მისი ელენესი; ხავერდ ქვეშ კი, არქიელის სიტყვით ინახებოდა ეკლის გვირგვინი და ლუსმანი, რომლითაც იყო მიჭედილი ქრისტე.

რას წარმოადგენს დღევანდელი ბედიის მონასტერი? რასაკვირველია, ნახევრად მინგრეული და მიგდებული, და თუ მას პატრონად შემთხვევით არ გამოსჩენოდა სამშობლოს მოყვარე და ყოვლად სათნო ადამიანი ბერი **იოსებ შელია**, იგი სრულიად გავერანებული იქნებოდა. ბ. იოსებ შელიას სიყვარულსა და დიდ მუშაობამ სიცოცხლე ჩაჰბერა ამ საუცხოვო ნაშთს და დდეს ამ ტაძარში სრული ღვთის მსახურებაა. მაგრამ ტაძრის განახლების საქ-

მეს ცოტა მომვლელი ჰყავს და ამაზედ ჩივის ბერი შელია. სხვათა შორის გათვალისწინებული აქვს ამ ტაძრის აღდგენის ეროვნული მნიშვნელობაც:

— თუ ეს ტაძარი განვაახლეთ — მითხრა მ. იოსებმა მცირე საუბარის დროს — ეს კუთხე საქართველოს არ დაეკარგებაო". შეიძლება ბევრს ეს სიტყვები გადაჭარბებულად ეჩვენოს, მაგრამ ვინც დაჰკვირვებია ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებას, უეჭველად დაინახავს ამ სიტყვების სიმართლეს. განაახლეთ ბედიის ტაძარი, მიეცით მას პირველ ყოფილი სახე, გაისმას შიგ ტკბილი ქართული ენა, რომელიც დღეს მთელი სამურზაყანოს სკოლებიდანაც კი გაძევებულია და დაინახავთ, როგორ სწრაფად შეაკავშიროს მან სამურზაყანო-აფხაზეთის მკვიდრნი თავის გარშემო და შეაყვაროს მათ სამშობლო ენა, სამშობლო კერა!

დღეს ეს კუთხე სრულიად დავიწყებულია: აქედგან არავინ ზრუნვას მისთვის, ადგილობრივ ინტელიგენტთა ძალა არ არსებობს. ქართული ენა აღარ გაისმის არც სკოლაში, არც ეკლესიაში, არც სხვაგან და ამ რიგად ეს კუთხე თანდათან შორდება მშობლიურ კერას საქართველოს. ეს მოსაზრება უნდა გვამოქმედებდეს მაშინაც კი, ხალხის რელიგიურ გრძნობის მოთხოვნილებას ანგარიშს რომ არ უწევდეთ".

აი რა პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა ეძლევა ამ ტაძრის განახლებას, აღდგენას... განა ეს მარტივი არ არის! მაშ რაშია საქმე?

— „ერთი სანდო კაცი მომახმარეთ, და მაშოვნიეთო, რომელ-ც მონასტრის წინამძღვარად გამოდგება და რომელსაც შეეძლოს ჩავაბარო დაწყებული და გაკეთებული საქმეო, თორემ ვშიშობ სხვა არ გამოჩნდესო".

ერთი სანდო კაცი!

ამ სიტყვებში გამოხატულია ჩვენი ცხოვრების უკეთესმართობა:

მიეცით ქართულ საქმეს, ერთი სანდო კაცი მაინც, თორემ **სხვები** გამოჩნდებიან!

ნუ თუ მართლა ასეთია ჩვენი ცხოვრება, რომ დიად ეროვნულ საქმისთვის ერთს სანდო კაცს ვნატრულობდეთ?

არა მე არა მწამს ესა.

პირიქით მე მწამს, რომ დღეს ბ. ბ. შელიების შესანიშნავ მოღვაწეობას ბევრი სანდო მიმდევარი და მშველელი გაუჩნდება.

რადგანაც დღეს ჩვენ ვიღვიძებთ.

და ეს გაღვიძება უეჭვოა და სანდო!

ე—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარევი

„ვეჩრები"

იანქოშვილისა: იეო და არა იეო რა, დგთის შბეთესი რა იქნებოდა, იეო ერთი დარბაისელი, ორმოცდაათ წელიწადს გადაცილებული, ცოლშვილის და მეფოტი თავის ბატონი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე. მთელ სიცოცხლეს ჯანმრთელად და მხიარულად ატარებდა, ცოლშვილს აცხოვრებდა, სამსახურში დროზედ დადიოდა, თავზედ „შიქსოფოხს" ისვამდა და ასე ვლიდნენ დღენი მისნი. მაგრამ ერთ უბედურ წელიწადს ქარაშხალი ამოვარდა, კასპიის, აზოვის და შავი ზღვა აღელვა, ნაპირებიდან გამოიყვანა. მრავალი ხალხი წაალეკინა, ტელეგრაფის მავთულები დააწყვეტინა და... დარბაისელ მოხელესაც დაურღვია სიმშვიდე. დადგა ჟამი, მოვიდა ბუბუყიანი წვიმა, რომელმაც არამიანცის სახლები და საოთავად-აზნაურო კიმნაზია გააშავა. ფოსტის მოხელე ჩაფიქრა ეგელა ამ მოვლენამ და გამოაცხადა: „21 აპრილს, ქართულ თეატრში გკითხულობ ლექციას უმაღლოულო ტელეგრაფზედ, გთამაშობ 35 ადამიანის როლს; ვმღერი ბარით, ცხვირით, ყურით, ვუკრავ 18 საკრავზედ, ვცეკვავ თავით, კისრით, ზურგით და მის ქვეითით; ვამბობ ანეკდოტებს, ვხატავ, ვცმუკავ და მრავალი სხვა, რაც კი თავში მოგვივა და ენაზე მოგვადგება".

ზოგმა სთქვა: „ვაი საწყალია", ზოგს გაეცინარდა: „ბიჭო, ეს რა ეთვალმზრიალი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოგვჩენიაო", ზოგს ტყუილი ეგონა, ზოგს მართალი, მაგრამ თეატრში მაინც შეიკრიბა ასეთდენ კაცი, რადგან ვერავის გაეგო... ტელეგრაფი, ზურგით ცეკვა, ცხვირით სიმღერა...

განყოფ. I ლექცია

„მდინარე წალკაში, ან გუბეში რომ ჩაგდოთ ქვა ხომ გინახავთ ტალღები როგორ გარბიან ნაპირზედა... ელექტრონიც სწორედ ასე ვრცელდება ჭაურში: აი, მაგალითად, მე რომ ვლაპარაკობ — ერთი ვარ და რად გეს-

მით ოქვენ უკვლას—ეს იმის ბრალია, რომ ჩემი ერთი ხმა ვრცელდება ჭაერში, როგორც გუბეში და თქვენ ეურამდის ალწევს, ეური გადასცემს ტვინს, ტვინი გონებას და თქვენც იძულებულნი ხართ გაიგონოთ ჩემი ნადაბარაკევი. იეო ერთი მარკონი, რომელმაც ისარგებლა ამითი და უმაგთულო ტელეგრაფი მოიგონა, რადგან ელექტრონი უფრო ადვილად გადის ჭაერში, ვიდრე ხმა. მაგრამ იქნება გაგიკვირდეთ—რაგორ შეიძლება უმაგთულოდ გადაცემა ხმისა. როცა მავთულისა არის ტელეგრაფი, იმასა ჭქვიან კაბელი; კაბელი მზადდება რაგორც წმინდა სანთელი ან ჩურჩხელა, მარტო ჩურჩხელა თეითონ არის სასიამოვნო და კაბელში კი სასიამოვნო ხმა გადის. ჭო და უმავთულო ტელეგრაფი ძალიან ადვილია. მთებზედაც ადვილად გადადის, ზღვებზედაც, რადგან უგელგან ჭაერია. რაგორ არის მოწყობილი ტელეგრაფი? სულ უბრალოდ: გემზედ ორი ბოძია ამართული, იმ ბოძებზედ კიდევ ორი ბოძი, რომელზედაც სარეტხის თოკია კაბმული (ხატავს სამკუთხს,) ამ თოკიდან ძირს ჩადის აპარატში ელექტრონის ტალდა. ასევეა ხმელეთზედაც: აი ეს ვსთქვათ სახლია (ხატავს ოთხკუთხს), ამართულია ბოძი და ზედ მავთულები. მაგრამ უველა აპარატს შეუძლიან დაიჭირონ ტალღები და ამიტომ მოგონილია შაფრი. იცით რა არის შაფრი? ეს რადაც აბდა-უბდაა, დომხალივით არეული ციფრი, ასო, კურდღელი, ომა, კაცი გერანფერს გაიგებს აი ეს არის შაფრი და ასე ლაპარაკობენ.

ლექტორი ტაშისცემით დაჯილდოვეს, რადგან ქართულ თეატრში სულ ქართველები დაიარებიან.

განყოფ. II ტრანსფორმაცია.

ჩვენი დარბაისელი მოხელე, ცოლშვილის და მეღორტი თავის პატრონი, შაფრის, ანუ აბდა-უბდა დომხალის ლექტორი—ეცემ ადგილიდან გადაიქცა, შერე იმერლად, სტუდენტად, გლახად, ბოლგოვნიკად, სახლის პატრონად და სხ. თუმცა ეველა ესენი ერთნაირად ტანადნი იყვნენ, ერთი ხმა ჭქონდათ, ეველანი ამბობდნენ: „ე...ე...ჭ" და ზურგზედ მუშტს იერავდნენ, მაგრამ ეველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს—ნიჭიერი გადმოცემაა სხვა და სხვა ტიპის ხასიათისა. სიმღერა და საგრავი ბევრი იყო. და იმდენად კარგი, რომ „ბისზედაც" ამღერეს.

განყოფ. III

სახელი ამ განყოფილებისა არ ვიცი: იყო ლექსები საკატორიო, პატრიოტული, სიყვარულისა; იყო ანეკდოტები, სიმღერა და ცეკვა; ისიც კი იყო, თუ რაგორ უკრავს „პეტრუშკას ქოხში" ერთი ადამიანი ორ საკრავზედ... ერთი სიტყვით—ნამდვილი „შაფრი" იყო, იმ მნიშვნელობით, რაგორც ბ-ნი ანქოშვილი იხსნიდა... მაგრამ ეველანი გულის ფანტქალით ელოდნენ უკანასკნელ ნომერს: ლეკურს ზურგზედ დარბაისელი მოხელე დაეგდო საკმზედ და დაუკრა გიტარაზედ; მერე: ეს ჩვეულებრივი დაკვრაა და არის კიდევ ასეთი, სთქვა მან, გიტარა ზურგზედ მოიგდო და დაუკრა ლეკური, მერე თანდათან აეოდა ფეხებიც და დარბაისელი მოხელე, ცოლშვილის და მელოტი თავის პატრონი, აცუნცრუკდა, რაგორც პატარა ბალღი...

„ვაი საწყალია—ამბობდნენ ერთნი, ეს რა მოსვლია, თითქო კარგად იეოვო".

„რა ნიჭიერია" - ამბობდნენ მეორენი და ქართულ თეატრში ხანგრძლივი ტაშისცემა გაისმა... იმიტომ რომ იგიც ქართველია, თუ ქართული ბრესა ეველაფერს იტანს, ქართული ზურგიც, რატომ ქართულმა თეატრმა არ უნდა აიტანოს და ტაშიც არ უნდა დაუკრას...

დარბაისელი, ცოლშვილის პატრონი...

— —

რომანიშვილისა: იეო დრამა კრემოხიდან, იეო ტრაგედია—თბილისიდან და კოშელია, დაბარებული „ბერლინიდან და პარიზიდან." ეველაფერი იეო. იეო თვით რომანიშვილის 10 წლის იუბილეიც, რომელიც მიეღოცეს ავლაბრის, ნაძალადევის, ავჭალის, ხარფუხის, ჩუღურეთის, ვერის, მამადავითის, დიდუბის და სხვა უბნების თეატრებმა... არ მიეღოცა მხოლოდ ქართველმა თეატრმა, თითქო შურით, რომ „სახალხო თეატრი" უფრო სიყვარულით ეჭცევა თავის მოვალეობას და უფრო შეგნებულად სწევს თავის მძიმე უღელს, ვიდრე ჩვენი ქართული თეატრი, დამსახურებულ არტისტებით. ქართულ თეატრში თუ სიამოვნებას გაგრძნობინებენ ცალკე მსახიობნი, მთელი წარმოდგენისაგან რაღაც უნუგეშობის მთაბეჭდილება გამოაქვს ადამიანს ეოველთვის; „სახალხო სახლში", ბირიქით, იქნება ცალკე მსახიობნი ვერ ადწევენ სასურველ სიმაღლეს, მაგრამ ეოველთვის მთლიანი სურათი ცოცხალია და მხატვრული.

რომანიშვილი არ არის დიდი არტისტი, მაგრამ იგი ტიპიური მსახურია სახალხო თეატრისა; ეველა მსახიობისათვის კი, რაგორც საზოგადოთ ადამიანისათვის, „სიბრძნე ცხოვრებისა" იმაშია, რომ „საკუთარი როლი" შესრულოს კარგად და სხვის ქერქში არ ეხვეოდეს, თორემ იანქოშვილისავით სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდება.

———

მესამე სადამო ანუ „ვეჩერი", იეო **გრიშაშვილისა:** გრიშაშვილის „შაფრში" ეველა ასო და ციფ-

რი, თითქო სწორედ იყო შემოხაზული, მაგრამ მათი განაწილება და საერთო სურათი უნუგეშოა: დაძველდა, დახავსდა ასეთი „ვეხრები", სადა ადარც გული, ადარც სული არა ტრიალებს და მარტოდა... ფული ჩხარუნობს. აქაც ლექსები, სიმღერები, მოთხრობა-ანეკდოტები. ბრიგიტიციაშიაც მოსაწყენია ასეთი გრძელი, თხელი სალამოები, არამც თუ „სატარტო ქალაქში". მაგრამ ტაში რომ ეკრავენ ხანგრძლივსა, ფეტრიანელებმ გაჩერდილია?... ქართველები ქართულ ბალტაში.

ნაცარა.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე"-ზედ.

ფასი:

1 წლით.	. . . . .	3 მან.
6 თვით.	. . . . .	2 მან.
3 თვით.	. . . . .	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. **ცალკე ნომერი ერთი შაური.**

ადრესი: Кутаисъ, редакція газ „Имерети“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲝ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲗᲔᲐᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲚᲕᲠᲔᲑᲐ“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. (ამ წლის დამლევამდე 4 მ.) ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპ-ნის“ სტამბაში).

1894 წლიდან — 1914 წლამდის

საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

საზოგადოება „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“-სა

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: **გოგოლ-ს ქუჩა 63**
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯ. ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ